

შოთა ვადაჭკორია

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი

აღნიშნული სტატია დაინერა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის №FR/148/2-101/14 ფარგლებში

**საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი და
ვისგაღენის კონფერენცია (1951 წლის 16 ოქტომბერი)**

მეორე მსოფლიო ომის შემდგომმა პოლიტიკურმა პროცესებმა და საბჭოთა იმპერიის ძლევამოსილებამ, ევროპის ქართული ემიგრაცია საგონებელში ჩააგდო. მათ წინაშე კონკრეტულად დაისვა საკითხი – რა ფორმითა და საშუალებებით შეიძლებოდა მონობის უღლისგან საქართველოს განთავისუფლება. ამ კითხვაზე დასაბუთებული პასუხის გაცემა იმ თვალსაზრისითაც იყო აუცილებელი, რომ ემიგრაციაში აღზრდილ ქართველ ახალგაზრდობას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საპროგრამო მიმართულებები ესაჭიროებოდა. თაობათა ცვლის შედეგად, პოლიტიკურ სარბიელზე დარჩენილი უდიდესი გამოცდილების მქონე თითო-ოროლა პიროვნებებისგან შემოქმედებით ნააზრევზე დაფუძნებული, საპროგრამო დებულებების დროულად შექმნა, საშურ საქმეს წარმოადგერნდა. ემიგრაციაში მყოფმა ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ, ასეთი სახის დოკუმენტი თავიანთ ახალგაზრდა მემკვიდრეებს იმ ეტაპზე ვერ შესთავაზა. მიუხედავად ამისა, საქართველოს თავისუფლების სამომავლო შესაძლებლობებზე და პერსპექტივებზე, ინდივიდუალურ შეხედულებებს სთავაზობდნენ მკითხველ საზოგადოებას. ამ მხრივ, განსაკუთრებით ე-გეგეჭკორის მოსაზრებები გამოირჩევა. იგი დასაბუთებული ფორმით შეახსენებდა ქართული ემიგრაციის ახალგაზრდა თაობას: 1) ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა, რუსულ ემიგრაციასთან ერთდ განეხორციელებინა; 2) ბოლშევიკური რეჟიმისგან თავის დაღწევა მხოლოდ ერთობლივი მოქმედებით გახდებოდა შესაძლებელი. რაც შეეხება რუსული ემიგრაციის მხრიდან ძველი მემკვიდ-

რეობის თუნდაც ნაწილობრივად შენარჩუნებისადმი სწრაფვას, ამასთან დაკავშირებით იგივე ე. გეგეჭკორი გარკვევით მიუთითებდა: „ამას გადანყვეტს არა სურვილი, არამედ ის ძალთა განწყობილება, რომელიც შეიქმნება კრემლის ბატონთა დამარცხების შემდეგ. ეს ძალთა განწყობილება ჩვენს სასარგებლოდ რომ მოენყოს, თავიდანვე უნდა იქნეს აღებული ისეთი ხაზი, რომელიც მჭიდროდ დაგვაკავშირებს ამ ბრძოლაში მონაწილე და მეთაურ ძალებთან“ [1, 6]. ამავე პოზიციას იზიარებდა ნ. ჟორდანიაც. იგი შექმნილ ვითარებას მეფის თვითმპყრობელობის პერიოდს ადარებდა და დასძენდა: „ქართველთა მეზობლი ნაწილი იღებდა მონაწილეობას რუსებთან ერთად საერთო ბრძოლაში მეფის რეჟიმის წინააღმდეგ, ახლა ისმება ჩვენს წინაშე იგივე საკითხი: მივიღოთ მონაწილეობა ახლაც არსებული წყობილების დანგრევაში, თუ ვუყუროთ შორიდან გამეფებულ დესპოტიას, ვითომ ჩვენ ეს არ გვეხება“ [1, 3]. ასეთი ქმედება, ნ. ჟორდანიას შეცდომად მიაჩნდა. ამ ფონზე, იგი ქართული ემიგრაციის მესვეურთ, რუსული პოლიტიკური სპექტრის კლასიფიკაციის აუცილებლობაზე მიუთითებდა. მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევდა შესაძლებლად საქართველოსთვის მისაღებ რუსულ პოლიტიკურ მიმდინარეობასთან თანამშრომლობას. ანალოგიური პოზიცია ეჭირა ნ. ცინცაძესაც. მხედველობაში მაქვს პოლიტიკური პარტიების ერთობლივ ყრილობაზე (1950 წლის ოქტომბერი) მისი მხრიდან ყრილობისადმი შეთავაზებული ფორმულირება. მასში შეტანილი მცირეოდენი ცვლილების შემდეგ, ნ. ცინცაძისეულ დებულებას მხარი ე. პატარიძემ, რ. გაბაშვილმა და ივ. ზურაბიშვილმა დაუჭირა. საბჭოური რკინის კედლის რკალში მოქცეული ერების განთავისუფლების შესახებ, ერთობლივად შემუშავებულ დოკუმენტში გარკვევით იყო მითითებული: „უშუალო მიზანი უნდა იყოს ლიკვიდაცია რეჟიმისა, როგორც პირველი და აუცილებელი პირობა ერთა განთავისუფლებისა“. „დასახული მიზნის – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შესაძლებლობას, ქართული ემიგრაციის პოლიტიკური სპექტრი მხოლოდ, საბჭოთა რეჟიმის ლიკვიდაციაში ხედავდა. მის წარმომადგენლებს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ა) ამის მიღწევა, მხოლოდ რუსულ და საერთაშორისო პოლიტიკურ ძალებთან ერთობლივი მუშაობით გახდებოდა შესაძლებელი; ბ) პოლიტიკური პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე ქართული ემიგრაციის გამჭრიახობაზე და მის შორსმჭვრეტელობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მხედველობაში მაქვს ამ იდეის ქართველი ერის მისწრაფების შესატყვისობაში მოყვანის აუცილებლობა და მისი პრაგმატულობა. ამ პოლიტიკური ტვირთის ღირსეულად ტარებას ქართული ემიგრაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში შეძ-

ლებდა, თუკი ერთიანი ფრონტით იმოქმედებდა, მათი მხრიდან გადადგმული ყოველი პოლიტიკური ნაბიჯი ბრძნულ და გააზრებულ გადანყვეტილებას დაეფუძნებოდა. ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხთან მიმართებაში, ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“- ში დაბეჭდილ პუბლიკაციაში „დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი საკითხი“ ს. ასათიანი გარკვევით წერდა: „საქართველოს უფლებების საკითხი ხორცს შეისხამს დამოუკიდებლობისა და თავისუფლების სახით, მხოლოდ შემოტანილი რეჟიმის და მის შემომტანთა დანგრევით... ამ შემთხვევისათვის უნდა ვემზადოთ და არ გავუშვათ არცერთი შემთხვევა კავშირების თუ სხვა სახით, რაც ჩვენს ბრძოლას გააცოცხლებს და გააძლიერებს. ამისთვის კი უნინარეს ყოვლისა საჭიროა ქართული ემიგრაციის გამთლიანება-გაერთიანება. ამ მხრით ქართული ემიგრაცია მხოლოდ ერთ ორგანიზაციას უნდა წარმოადგენდეს, ვინაიდან ყველას ერთი მიზანი გვაქვს, რაც საკმარისი უნდა იყოს იმისთვის, რომ ერთსულოვნად ვიბრძოლოთ ტანჯული სამშობლოს გასანთავისუფლებლად“. იმავე ს. ასათიანის სამართლიანი მტკიცებით, ორ უძლიერეს დაპირისპირებულ მხარეებს – ბოლშევიზმსა და დემოკრატიას შორის მიმდინარე პოლიტიკური, იდეოლოგიური და ეკონომიკური ბრძოლა, საქართველოს სასარგებლოდ უნდა ყოფილიყო გამოყენებული. მით უმეტეს, ამ დაპირისპირების შედეგად იბადებოდა „ეპოქა სრულიად ახალი, მთელი თავისი შინაარსით აზროვნებისა და მორალის მხრით, სათანადო პოლიტიკით და ეკონომიკით. მშობიარობა მიმდინარეობს დიდი ტანჯვა წამებით, რომლის მსგავსი შეიძლება არასოდეს არ გაეცლოს კაცობრიობას“ [2, 14-15].

საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაცია და მიმდინარე რთული პოლიტიკური პროცესები, ქართული ემიგრაციის წინაშე საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი ფორმის შემუშავებას მოითხოვდა, რომელიც საბჭოთა რუსეთისადმი დაპირისპირებული ქვეყნების ინტერესთა ჩარჩოში ჩაჯდებოდა, ქართველთა თავისუფლებისკენ სწრაფვას, სრულად თუ არა გარკვეული ფორმით უზასუხებდა. ამ ურთულესი პოლიტიკური ლაბირინთებიდან სწორი მიმართულებით გზის გაკვლევა, კიდევ უფრო დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. მცირეოდენი პოლიტიკური ცდომილება, წარსულის მთელი საქმიანობის ნულოვან საფეხურამდე დაყვანის საფუძველი შეიძლება გამხდარიყო. აქედან გამომდინარე, ქართული ემიგრაციის, განსაკუთრებით სამთავრობო შტოს შემორჩენილ „ნამსხვრევებს“, დიდი სიფრთხილისა და პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა.

ასეთ რთულ ვითარებაში მყოფი ქართული ემიგრაციის ელიტარუ-

ლი ფრთის წარმომადგენელთა ყურადღება, პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსულმა ამერიკულმა კომიტეტმა მიიქცია. იმ პერიოდის პრესის ფურცლებზე გამოქვეყნებული პუბლიკაციების მიხედვით თუკი ვიმსჯელებთ, ახლადშექმნილი ამერიკული კომიტეტისა და ქართული ემიგრაციის ინტერესები ძირითადად ერთმანეთს დაემთხვა. აქედან გამომდინარე, პოლიტიკურმა აუცილებლობამ, ამ კომიტეტთან თანამშრომლობა და ქართული საქმისთვის სასიკეთოდ გამოყენება მოითხოვა. პირველი რიგის ამოცანას, ამერიკის საზოგადოებაში გზის გაკაფვა და ქართული საქმით პოლიტიკური სპექტრის დაინტერესება წარმოადგენდა. მეორე მხრივ, საკითხი ეხებოდა ფინანსებს და პრესის საშუალებებს. თუკი ქართული პოლიტიკური ემიგრაცია ამ კომიტეტთან თანამშრომლობას აანწყობდა, მას გარკვეული ფორმით დახმარების რეალური შანსები გაუჩნდებოდა. მითუმეტეს, აღნიშნულ კომიტეტს აშშ-ის საგარეო საქმეთა სამინისტრო ლობირებდა. ამ კომიტეტის ოფიციალური მინვევის საფუძველზე მოხდა ქართული დელეგაციის გაგზავნა ვისბადენის თათბირზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით, უურნ. „მებრძოლი საქართველო“-ში დაბეჭდილ პუბლიკაციაში „აღმასრულებელი კომიტეტის პოლიტიკური შედეგები“ – გიორგი კერესელიძე წერდა: „ამერიკულმა კომიტეტმა გვთხოვა ვისბადენში ჩვენი დელეგაცია წარგვეგზავნა. თხოვნა შევასრულეთ... ჩვენ რომ განზედ გავდგომილიყავით, ამერიკელები ამ საკითხის შესახებ მარტო რუსებისგან მიიღებდნენ ცნობებს და მათი პრორუსულობა უფრო გაღრმავდებოდა, რადგან პასუხისმგებლობა შეთანხმების ცდის მიუხედავად ჩვენ დაგვანებდებოდა. შემდეგში ამერიკელებისკენ გზის გამონახვა დიდად გაგვიძნელებოდა და მოქმედებისთვის ასპარეზს დაკარგავდით“. ამავე საკითხს შეეხო იმავე უურნალში ა. გაიძის ფსევდონიმით გამოქვეყნებული წერილი „მუდამ თავსატეხი საკითხი“. წერილის ავტორი გაკვირვებას გამოთქვამდა ვისბადენში დელეგაციის გაგზავნის ფაქტის არაპატრიოტულ აქტად ოპოზიციის მიერ გამოცხადების გამო და იქვე დასძინდა: „ქართველები კარგად ვიცნობთ რუსებს და ვიცით, რა ძალა აქვს მათ მიერ მოცემულ დაპირებებს, მაგრამ ვისბადენში ჩვენი დელეგატები არ წასულან რაიმეს სათხოვნელად, არამედ, წავიდნენ ამერიკული კომიტეტის მინვევით, და როგორც ვიცით, არამც თუ ქართველ დელეგატებს, არამედ სხვებსაც საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი სადაოდ არ გაუხდიათ“.

ჩემს მიერ მოტანილი ამონაწერები ადასტურებს, რომ ვისბადენში ქართველთა წასვლა, რუსული ემიგრაციის კაპრიზების დასაკმაყოფილებლად კი არ იყო გაკეთებული, არამედ, აქ აშშ-ის ხელისუფლების მხრიდან ლობირებადი კომიტეტის „მიპატიჟება“ განსაზღვრავდა ამ

ნაბიჯის გადადგმას. იმ შემთხვევაში, თუკი ქართველობა კომიტეტს უარით უპასუხებდა, იგი იმ ციხე-სიმაგრეს დაკარგავდა, რომელსაც ზურგი უნდა გაემაგრებინა ქართული ემიგრაციისათვის საბჭოთა იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლაში. მეორე მხრივ, ქართველთა ამ თავშეკავებას, რუსული ემიგრაცია, ქართული ემიგრაციის საწინააღმდეგო პროპაგანდისთვის გამოიყენებდა. სწორად შენიშნავდა გ. კერესელიძე, როცა წერდა: „ჩვენ რომ საკითხის არაპოპულარობას შევეჩერებინეთ, ამერიკელთა თვალში რუსები იქნებოდნენ მართალნი. პროპაგანდასაც გასწევდნენ, რომ მხოლოდ რუსებსა ჰსურთ ბოლშევიკების წინააღმდეგ ძალთა დარაზმვა, სხვა ერებს კი არაო. ამერიკის კომიტეტი გააგრძელებდა რუსებთან თანამშრომლობას „tete á tete“ და როგორც მის ცენტრში, აგრეთვე, პრესაში და სამინისტროებში დაგროვდებოდა მასალა რუსთა სასარგებლოდ და ჩვენ საწინააღმდეგოდ. მხოლოდ ამერიკის კომიტეტის საშუალებით შეგვიძლიან ვიმოქმედოთ პრესაზე, რომელიც ქმნის აზრს და საზოგადოებრივი აზრი კი ერთი იმ უმთავრეს ფაქტორთაგანია, რომელნიც მთავრობის პოლიტიკასა ჰქმნიან“ [1, 10].

ზემოაღნიშნული ფაქტებით თუ ვიხელმძღვანელებთ, ვისბადენში ქართული დელეგაციის წარმომადგენლების გაგზავნა აუცილებლობით და შექმნილი პოლიტიკური კონიუნქტურის გათვალისწინებით იყო განპირობებული. მიუხედავად ამისა, „ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკური კომიტეტის“ სახელით ქართული ემიგრაციის ერთმა ნაწილმა (მიხეილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, დიმიტრი შალიკაშვილი, ნიკო ნაკაშიძე, ალ. კობაიძე), ქართული ემიგრაციისადმი საგანგებო მიმართვა გაავრცელა. ამ 11 გვერდიან დოკუმენტში საუბარია შტუდგარტში გაერთიანებული 5 რუსული ორგანიზაციის (COHP) 1951 წლის 19 აგვისტოს ეროვნულ საკითხთან მიმართებაში შემუშავებულ პოზიციაზე. მითითებულია, რომ ამ ახალი გაერთიანების მიზანს რომანოვების იმპერიის ფარგლებში რუსეთის აღდგენა წარმოადგენდა. იმავე დოკუმენტში ხაზგასმით წერია, რომ ასეთ გაერთიანებასთან, რომელიც ეროვნულ საკითხს უარყოფდა, თავისუფლებისათვის მებრძოლ ქართველობას არაფერი ესაქმებოდა. შტუდგარტის დეკლარაციაზე დაყრდნობით, ამ დოკუმენტში 5 პუნქტადაა ჩამოთვლილი, თუ რატომ არ შეიძლებოდა ქართველთა მონაწილეობის მიღება ვისბადენის კონფერენციის მუშაობაში [3, 11]. ამ ფაქტთან დაკავშირებით, კ. გვარჯალაძე მიუთითებდა, რომ ვისბადენის კონფერენციამ გადაჭრით უარყო რუსული ორგანიზაციების შტუდგარტში მიღებული დადგენილებები. აქედან გამომდინარე, იგი დაუშვებლად მიიჩნევდა შტუდგარტისა და ვისბადენის ერთმანეთთან გაიგივებას. ამ საკითხის შესახებ რ. არსენიძის მიერ

გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში „მიმოხილვა“ ვკითხულობთ: „შტუდ-გარტის დებულებები გადააბეს ვისბადენის თათბირს და ასე წარმოშ-ვეს აზრთა სრული არევ-დარევა. ვერაფრით ვერ დააჯერებთ ზოგიერთ ამ აღრევაში დაინტერესებულთ, რომ ვისბადენის თათბირზე ეს უკა-ნასკნელი სავსებით უარყოფილი იქნა და გაუქმებულად გამოცხადდა, როგორც ეროვნულ-პოლიტიკურ საკითხების, ისე საორგანიზაციო წყობის საკითხში“ [1, 15]. ამავე პუბლიკაციაში დასაბუთებული ფორ-მითაა წარმოდგენილი „ცენტრალური ევროპის ქართული პოლიტიკუ-რი კომიტეტის“ მიერ ქართული ემიგრაციისადმი გაკეთებული მიმარ-თვის კრიტიკა და აღნიშნულია, რომ მის წევრებს „ვერ გაურჩევიათ ერთმანეთისაგან ორი თათბირის – შტუდგარტის და ვისბადენის ძირი-თადი წინააღმდეგობანი... ორი თვის შემდეგ ვისბადენის თათბირიდან, ვერც წერილობითი დოკუმენტებით, ვერც სიტყვიერი განმარტებებით ვერ შეეჩვივნენ აზრს ამ ორი თათბირის სხვადასხვაობისას. თავის მო-წოდებაშიაც ისე ურევენ ამ ორ მოვლენას ერთმანეთში,... რომ ძალა უნებურად ეჭვი გვეპარება, მათი გზა-კვალის დასაბნეველ ხომ არ გა-მოაქვეყნეს რუსის ზოგიერთმა წრეებმა შტუდგარტის „ნაცოდვილე-ვი!“

ამ შემთხვევაში რ. არსენიძე სავსებით მართალია, თუნდაც იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ სიმართლის დამდგენელს, რო-გორც თვითონ ამბობს, პირველ რიგში უნდა მიემართა პარიზის ქართველთა ეროვნული საბჭოსთვის ან მთავრობისთვის შესაბამისი დოკუმენტაციის მისაღებად. რამდენადაც ეს ელემენტარული პრო-ცედურა იქნა დარღვეული, „ცენტრალური ევროპის ქართული კო-მიტეტის“ მხრიდან გავრცელებულმა ბრალდებებმა, მიზანმიმართუ-ლი ფორმა მიიღო. ამის დადასტურებას ის ფაქტიც წარმოადგენდა, რომ ვისბადენში მიღებული დადგენილების ნაცვლად, მათი მხრიდან მხოლოდ დეკლარაცია იქნა გამოქვეყნებული. მხედველობაში მაქვს მიუნხენში გამომავალი თურქული ორიენტაციის ჟურნალ „კავკაზ-ში“ დაბეჭდილი პუბლიკაცია. ამ შემთხვევაში მკითხველ საზოგადო-ებას პირველადი დოკუმენტი არ მიაწოდეს და მანიპულირება დეკ-ლარაციით დაიწყო. ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას „ქართული პოლიტიკური ცენტრის“ მიერ 1952 წლის ოქტომბერში გავრცელებული „განმარტება და გაფრთხილება“ იქ-ცევს. ამ დოკუმენტში შედარებითი მცდელობაა მოცემული ვისბა-დენში და მიუნხენში მიღებულ დოკუმენტებს შორის. ვისბადენის (1951 წლის 16 ოქტომბერი) მოლაპარაკებაში 5 რუსული დემოკრა-ტიული და სოციალისტური ორგანიზაცია იღებდა მონაწილეობას. ამ ფორუმში მინვეული იყო: ქართველების, ბელორუსების, აზერბა-

იჯანელების, ჩრდილო კავკასიელების, თურქესტანის საბჭოებისა და კომიტეტების წარმომადგენლები. აღნიშნული მოლაპარაკება მალევე დატოვა ერთმა რუსულმა ორგანიზაციამ და ბელორუსიის წარმომადგენლებმა. ბელორუსიის ხმა, 4 რუსულ ორგანიზაციას დაუმატეს. ვისბადენის მოლაპარაკებას სომხური ჯგუფი შეუერთდა. მოლაპარაკებაში მონაწილეთა წარმომადგენლების ბაზაზე შექმნილი საკოორდინაციო ცენტრი 5 რუსის და 5 არარუსის (ნაციონალის) შემადგენლობით დაკომპლექტდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალებით დასტურდება, რომ დაჩაგრული ერების წარმომადგენლებიდან განსაკუთრებული პატივისცემა ქართველი დელეგატების მიმართ იქნა გამოჩენილი და მისი ერთ-ერთი წარმომადგენელი ნ. ცინცაძე თათბირის თავმჯდომარედ აირჩიეს. რაც შეეხება ვისბადენის მოლაპარაკებაზე მიღებულ სტატუტს, „საკოორდინაციო ცენტრი“ ფართო პოლიტიკურ ბაზას უნდა დაფუძნებოდა. მის შემადგენლობაში გაერთიანების შესაძლებლობა სსრკ-ში მოსახლე ყველა ერების დემოკრატიულ ორგანიზაციებს ეძლეოდა. მიუხედავად ამისა, ორივე დოკუმენტი „საკოორდინაციო ცენტრში“ დაშვებას უკრძალავდა ყველა იმ ორგანიზაციებსა და დაჯგუფებებს, რომლებიც რევოლუციამდე არსებული წყობილების რესტავრაციას, ტოტალიტარული დიქტატურის რაიმე ფორმით დამყარებას უჭერდა მხარს. აღნიშნული ორგანოს კარები დახურული იყო იმათთვისაც, ვინც ნაციონალური სიძულვილის პროპაგანდას ეწეოდა.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ვისბადენის თათბირმა, საგანგებო მსჯელობის საგნად შტუდგარტის თათბირზე მიღებული პრორუსული ორიენტაციის პროგრამა აქცია, რადგან ამ დოკუმენტის მიხედვით: ა) შტუდგარტის პროგრამაში, საბჭოთა ხელისუფლების დამხობა პრიორიტეტად იყო გამოცხადებული; ბ) თებერვლის რევოლუციამდელი რუსული მმართველობის ყველა ფორმის უარყოფის ფონზე, კერენსკის დროინდელი რუსული ხელისუფლების შენარჩუნება მიზანშეწონილად იყო მიჩნეული. ამ დებულებას, „მიმართვა-გაფრთხილების“ ავტორები, ვისბადენში მიღებულად წარუდგენდნენ მკითხველ საზოგადოებას. „ვისბადენის დაჯგუფებამ – ვკითხულობთ დოკუმენტში, – კერენსკის რესტავრაცია დაისახა თავის იდეალად და მიზნად“. იმავედროულად ხაზგასმით მიუთითებდნენ, რომ ერთა თვითგამორკვევის უფლებების „განხორციელებისთვის ისეთი პირობები შეიძუშავებს მიუნხენის სტატუტში, რომ ყოველივე ეს ცარიელი დაპირებების სახეს ღებულობს“. ამ ამონაწერიდან კარგად ჩანს, რომ „მიმართვა-გაფრთხილების“ შემდგენლები, თავიანთ მსჯელობას მიუნხენში მიღებულ დოკუმენტზე აგებდნენ და როგორც ზემოთაც აღვნიშნე, ვისბადენში

მიღებულად წარუდგენდნენ საზოგადოებას. მისი მეცხრე მუხლი მკაცრად ილაშქრებდა ქართული სოციალ-დემოკრატიის მიერ ვის-ბადენში რუსებთან ვითომდა „გარიგების“ ფაქტზე, სადაც მათი „მტკიცებით“, ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ ეროვნული საკითხის „უარყოფით“ ხაზი გადაუსვა 1918 წლიდან 1951 წლამდე საქართველოს სუვერენიტეტის შესახებ მათი ინიციატივით მიღებულ საკანონმდებლო აქტებს. „სრულიად მოულოდნელი იყო – ვკითხულობთ დოკუმენტში – ქართველი სოციალისტების აქტიური მონაწილეობა ისეთ პოლიტიკურ მუშაობაში, რომელიც მთელი თავისი ბუნებით ეწინააღმდეგება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს, მისი მთავრობის ყოველგვარ ნამოქმედარს 1921, 1922 და 1924 წლის აჯანყებათა წმინდა მიზნისა და დროშის, უცხოეთში... ქართული მუშაობის ყველა აქტებს და კონვენციებს წარდგენილს ნაციათა ლიგის პლენუმში...

როდესაც საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის ემიგრაცია თითქმის მთლიანად სტოვებს იმ ეროვნულ პოზიციას, რომელზედაც ეს პარტია მუშაობდა და იბრძოდა 34 წლის მანძილზე, როდესაც დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობის ყოფილი წევრი ჩაუდგება სათავეში ასეთ საქმეს, ხოლო სხვები... ამოუდგებიან მას გვერდში, როდესაც ამ პარტიის სხვა აქტიური წევრებიც ამ ხაზზე დადგებიან და მხურვალე მუშაობას გააჩაღებენ, რომ სხვა ქართული ძალებიც ამ საქმეში... ჩაითრიონ... ასეთი ამბავი უკვე ვეღარ თავსდება დიდი პოლიტიკის შეცდომისა და მარცხის ფარგლებში. ის ეროვნული კატასტროფის სახეს ღებულობს. ის მძიმე ჭრილობას აყენებს საქართველოს განმათავისუფლებელი ბრძოლის საქმეს. ის სახელს უტეხს ჩვენი ბრძოლის იდეას. მახლობელთა და შორებელთა თვალში... ასეთი მოქმედება მძიმედ აზიანებს არა მარტო ქართულ ემიგრაციას, არამედ მთელი ერის ზნეობრივ სახეს არა მხოლოდ სადღეისოდ, არამედ ხანგრძლივად“ [4, 3].

ჩემს მიერ მოტანილი ეს ვრცელი ამონაწერი, საფუძვლიან ბრალდებას შეიცავს ემიგრაციის სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და მისი ლიდერებისადმი. მეორე მხრივ, იგი სოციალ-დემოკრატების მხრიდან ეროვნული საკითხის უარყოფაზე და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისადმი ხაზის გადასმაზე აკეთებდა განსაკუთრებულ აქცენტირებას. ანალოგიური სახის ბრალდებაა გამოთქმული ქართული დემოკრატიული კავშირის მიერ ალექსანდრესადმი გაგზავნილ წერილში, რომელიც 1953 წლის 20 ნოემბრითაა დათარიღებული. ამ დოკუმენტში მოტანილი უმძიმესი ბრალდებებიდან გამომდინარე, აუცილებლობას მისადმი დასაბუთებული პასუ-

ხის გაცემა წარმოადგენდა. ამ მხრივ, განსაკუთრებულ ინტერესს უყრნ. „მებრძოლი საქართველო“-ში გამოქვეყნებული ს. ასათიანის სტატია „დღევანდელი მდგომარეობა და ჩვენი საკითხი“ იქცევს. მასში განსაკუთრებული ყურადღება 200 მილიონიანი რუსეთისადმი 3 მილიონიანი ქართველობის დაპირისპირებაზეა გადატანილი და სავსებით კანონზომიერადაა დასმული საკითხი: შეძლებდა თუ არა დიდი სახელმწიფოების გარეშე, პატარა საქართველო, რუსეთის დამარცხებას? რამდენადაც ეს შეუძლებელი იყო, მაშინ რა ფორმით უნდა მომხდარიყო საერთაშორისო ძალებთან ერთად, საბჭოთა რუსეთისადმი ქართველთა დაპირისპირება? ამ შემთხვევაში წერილის ავტორს სავსებით სწორი პასუხი გააჩნია. მხედველობაში მაქვს საერთაშორისო კონფერენციებზე და თათბირებზე შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული ერთობლივი პროგრამით მოქმედება. ამ ფონზე იგი ვისბადენის თათბირსაც შეეხო და იქვე ხაზგასმით მიუთითა: „ამ თათბირზე, რომელზედაც რუსთა საუკეთესო წარმომადგენლები იყვნენ, პირველი როლი ქართველი ემიგრაციის წარმომადგენლებმა ითამაშეს. მათ ხელში გადავიდა თათბირის მთელი ხელმძღვანელობა. არავითარ დათმობაზე ეროვნული საკითხის შესახებ ისინი არ წასულან და საქართველოს დამოუკიდებლობის ავტომატურად აღდგენის დასტური მიიღეს. ჩვენ რად უნდა ვიყოთ ამის წინააღმდეგი? ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ საბჭოებმა გვიცნეს და არა იმათ, ვისთანაც ჩვენ ეხლა კავშირში შევედით (რუსთა ემიგრანტების მემარცხენე სექტორი). რას ვკარგავთ იმით, რომ მათ აღიარონ... ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა? მათ დაპირებას განა ჩვენი მუშაობის პოლიტიკის ბაზად ვხდით? მათთან კავშირი ჩვენი ბრძოლის ერთი ფორმათაგანია და სხვა არაფერი... დღეს ჩვენთან არის ბუნებრივად კავშირში მთელი ანტიბოლშევიკური მსოფლიო. ამ ოცდაათი წლის წინად მარტო ვიყავით... ამას გამოყენება უნდა“. თუკი აქ მოტანილი ინფორმაცია სიმართლეს შეესაბამება და ქართული დელეგაცია ვისბადენში ეროვნულ საკითხთან მიმართებაში დათმობაზე მართლაც არ წასულა, მაშინ სასაყვედურო არაფერი ეთქმის. აღნიშნული თათბირით ქართულ მხარეს, ქვეყნის დამოუკიდებლობის წინასწარი გარანტიის მიღებასთან ერთად, რუსული ემიგრაციის 5 პოლიტიკურ ძალასთან ანტისაბჭოური საქმიანობისთვის თანამშრომლობა განუახლებია და რაც მთავარია, ამერიკული კომიტეტისგან გარკვეული სიმპათია და მხარდაჭერა დაუმსახურებია. ეს საკითხი ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესიის 1952 წლის 4 ოქტომბრის მეორე სხდომის მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. აღნიშნულ საკითხზე ს. მენაღარიშვილი გარკვევით მიუთითებდა:

„რუსები ვისბადენში მოვიდნენ შტუდგარტის პროგრამით, მათ იქ დახვდა ჩვენი კომიტეტი, რომლის ეროვნული პოზიცია გარკვეული იყო, რის შედეგადაც რუსების პოზიცია დაინგრა, მოიხსნა; ეს არის დიდი დამსახურება“. თუ რამდენად სწორია აქ მოტანილი ინფორმაცია, ამასთან დაკავშირებით ჩემი ყურადღება მიიპყრო ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“-ში დაბეჭდილმა სტატიამ „ვისბადენი“. მასში მოტანილი მონაცემებით, ვისბადენში მიღებული გადანყვეტილება ორ საფეხურს შეიცავს და მისი ერთმანეთისგან განცალკევება აუცილებლობას წარმოადგენს. საკითხი ეხება: 1) რუსეთის შემადგენლობაში შემავალ იმ ერებს, რომლებსაც დამოუკიდებლობა არ ჰქონდათ გამოცხადებული. ასეთი ერების მიმართ ვისბადენში მიღებული გადანყვეტილება მიუთითებდა, რომ რუსეთის შემადგენლობაში მყოფ „ყველა ერს აქვს უფლება თვით გადაჭრას თავისი ბედი ან პლებისციტით, ან ეროვნული დამფუძნებელი კრების გზით“. 2) იმ ერებს, რომლებსაც ჰქონდათ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ვისბადენის დადგენილებაში მიუთითებელი იქნა, რომ „იმათთვის, რომელთაც ჰქონდათ სახელმწიფოებრივი არსებობა, მაგრამ ბოლშევიკებისგან იქნენ დაპყრობილნი, უფლება ეძლეოდათ უშუალოდ აღედგინათ თავისი სახელმწიფო“. ეს ფორმულირება თათბირის მონაწილე 5 რუსულმა პოლიტიკურმა პარტიამ სცნო საქართველოსთან მიმართებაში [1, 8].

ამავე საკითხთან დაკავშირებით, ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“-ში რ. არსენიძის მიერ დაბეჭდილ პუბლიკაციაში – „მიმოხილვა“ ვკითხულობთ: „ჩვენმა დელეგაციამ ვისბადენის ყრილობაზე შეიტანა წინადადება ყველა იქ დამსწრეთა თანხმობით: ერთი – თვითგამორკვევა საერთოდ ყველა ერთათვის; მეორე – უშუალოდ აღდგენა დამოუკიდებლობის იმ ერთაგან, რომელთაც ის უკვე ქონდათ მოპოვებული და ბოლშევიკურმა ხელისუფლებამ წარსტაცა“. ქართული დელეგაციის პრინციპულმა პოზიციამ განაპირობა ის ფაქტი, რომ ვისბადენის თათბირზე მიღებული რეზოლუციის მეორე ნაწილის მე-6 მუხლი შემდეგი ფორმულირებით იქნა დამტკიცებული: „ბოლშევიკებისგან განთავისუფლების შემდეგ... საჭიროა, პირველ ყოვლისა... მიეცეს არარუს ერებს თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენისა ეთნოგრაფიულ საზღვრებში, ხოლო რომელთაც ასეთი სახელმწიფო არ შეუქმნიათ, მიეცეს უფლება თავის ნებისყოფის თავისუფლად გამოთქმისა და ჩვენ მზად ვართ ვითანამშრომლოთ იმ რუსის ემიგრანტებთან, რომელნიც გულწრფელად იცნობენ ჩვენი ერების უფლებას ზემო აღნიშნულ საფუძველზე“ [1, 16].

იმავე ჟურნალში დაბეჭდილ ერთ-ერთ საპოლემიკო წერილში, ვისბადენში თათბირზე ეროვნულ საკითხთან მიმართებაში მიღებული

რეზოლუციის ამონაწერი მოტანილი: „ცნობილი იქნას უფლება დამოუკიდებლობის ავტომატურად აღდგენისა ერთთვის, რომელთაც ჰქონდათ დამოუკიდებლობა ამა თუ იმ პერიოდში 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ“. ამ დოკუმენტს შემდეგი სახის კომენტარი აქვს გაკეთებული: „ამის შემდეგ, ყველა იმათ, ვინც კიდევ ხმას ამოიღებს ჩვენგან ერის უფლებათა დათმობაზე, სუვერენობის უარყოფასა და სხვა ასეთებზე, განა არ გვექნება უფლება შეგნებულად, განზრახ, ბოროტი მიზნებით ქორის გამავრცელებელი ვუნოდოთ?“[1, 24].

ვისბადენში ჩასული ქართული დელეგაციის პრინციპული პოზიციის შესახებ და რუსული დელეგაციის წარმომადგენლებთან გამართული დისკუსიის დაწვრილებითი ანგარიში იყო გადმოცემული ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესიის (1952 წლის 4 ოქტომბერი) პირველ სხდომაზე ნ. ცინცაძის მოხსენებაში. აღნიშნული სესიის საოქმო ჩანაწერების მიხედვით ირკვევა, რომ ვისბადენში ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა, რომლის სათავეში ქართველები იყო, კატეგორიული ფორმით მოითხოვეს ერთა თვითგამორკვევის რეალური გარანტიები. ამ საკითხის გადანიშნულება (ა) და (ბ) საფეხურებს შეიცავდა: ა) ეროვნული თვითგამორკვევა პლებისციტით ან ეროვნული დამფუძნებელი კრების საშუალებით უნდა მისცემოდა იმ ერებს, რომლებსაც 1917 წლის 25 ოქტომბრის შემდეგ ეროვნული სახელმწიფო არ ჰქონდათ შექმნილი; ბ) იმ ერებს, რომლებმაც ეროვნული სახელმწიფო შექმნეს და საბჭოთა რუსეთმა მისი ოკუპაცია მოახდინა, დამოუკიდებლობა უნდა მიეცათ უპირობოდ. ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, (ა) საფეხურის ფორმულირება შემდეგნაირად იქნა ჩამოყალიბებული: „ერთა თვითგამორკვევის უფლება ხორციელდება ან პლებისციტით, ან ეროვნული დამფუძნებელი კრების მოწვევით, ან საერთო დამფუძნებელი კრების საშუალებით“. ეს დებულება ეხებოდა იმ ერებს, რომლებიც რუსეთის ფედერაციის ფარგლებში იქნებოდნენ მოქცეულნი. რაც შეეხება მეორე (ბ) საფეხურს, მისი საერთო ფორმულირება 5 რუსული პარტიისგან სამის მიერ იქნა უარყოფილი, მაგრამ იმავდროულად გამონაკლისი იქნა დაშვებული საქართველოსთან მიმართებაში. ამის შესახებ იგივე ნ. ცინცაძე ხაზგასმით მიუთითებდა: „ერთხმად მიიღეს გამონაკლისი საქართველოსთვის, რაც აცნობეს ჩვენს წარმომადგენელს, რომელიც იყო იმავე დროს კონფერენციის თავმჯდომარე. ჩვენ განვაცხადეთ ამაზე, რომ მათ დადგენილებას ვიღებთ ცნობად, მაგრამ ვრჩებით ზემოხსენებულ საერთო ფორმულის ნიადაგზე. ყველა ეს გაცხადებული იქნა არა რუს ერთა თათბირზე და ერთსულოვნად დადასტურებული ყველა ერთა წარმომადგენლებისგან ასეთივე განცხადება იქნა გაკეთებული შემდეგ კონფერენციის ოფიციალურ სხდომა-

ზე“ [5, 9]. აქ გარკვევითაა ნათქვამი, რომ ქართული მხარე არ დაეთანხმა რუსების შემოთავაზებულ ცვლილებებს და (ბ) ფორმულირების-სახელმწიფოს მქონე ერებს, რომლებიც რუსული ოკუპაციის ობიექტი გახდა, დამოუკიდებლობა უპრობლემოდ აღდგენოდა, ვისბადენის კონფერენციაზე მონაწილე არარუსი ერების თათბირზე იქნა გატანილი და დამტკიცებული. ამის შესახებ, კონფერენციის ოფიციალურ სხდომაზე ნ. ცინცაძემ შესაბამისი განცხადება გააკეთა. ეს იმას ნიშნავდა, რომ რუსები ვალდებული იყვნენ, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე დათანხმებულიყვნენ სახელმწიფოებრიობა დაკარგული ერებისათვის პირდაპირი დამოუკიდებლობის მინიჭებაზე. დოკუმენტური მასალით ისიც დასტურდება, რომ ქართული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა და ამერიკული კომიტეტის სრული თანხმობის შედეგად, ნ. ცინცაძემ მთელი პასუხისმგებლობა თავზე აიღო, რათა რადიო-გადაცემის საკითხის პრაქტიკულად გადასაწყვეტად წინასწარი პირობებით მოეწვიათ თათბირი. ამ ღონისძიებაზე მიღებულ დადგენილებაში გარკვევით იქნა მითითებული: 1) საერთო პოლიტიკური ცენტრის სახელწოდებაში მოხსენებული არ ყოფილიყო არც რუსეთი და არც საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა; 2) დადასტურებულიყო ეროვნული საკითხის ვისბადენში მიღებული ფორმულა; 3) დამატებოდა კატეგორიული დაგმობა კომუნისტური აგრესიის შესახებ და *Nul et non avenue*, ე. ი. გაუქმებულად ელიარებიანთ ყველა ის დაპყრობები, რომელიც საბჭოთა კომუნისტურმა ხელისუფლებამ მოახდინა [5, 9]. დოკუმენტიდან ირკვევა, რომ აღნიშნული და სხვა საკითხები ვისბადენში გადაუწყვეტელი დარჩა. იმავე სესიის სხდომაზე, ვისბადენის საკითხს გრ. ურატაძეც შეეხო. მან განსაკუთრებული ყურადღება თათბირის მონაწილეთა მიერ ეროვნული საკითხის განხილვის ფაქტზე გაამახვილა და იქვე მიუთითა: „ვისბადენის უდიდესი დამსახურება... იმაშია, რომ აქ საჯაროთ იქნა გამოტანილი ეროვნული საკითხი... საჯაროდ დაუპირისპირდა ერთი მეორეს რუსი და არარუსი ერების ინტერესები... რომელიც ასე ამკარად, ასე ყველას დასანახავათ და გასაგონად დადგა ვისბადენის პოლიტიკურ არენაზე მთელი მსოფლიოს წინაშე... ვისბადენის მოლაპარაკებას მართლაც რომ მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს, რადგან სწორედ აქ არის თავმოყრილი ის, რასაც „რუსეთის პრობლემას ეძახიან“. აქვე იმის შესახებაცაა მითითებული, რომ ვისბადენის პროცესით აშშ და ევროპის ქვეყნებიც იყო დაინტერესებული. ისინი რუსთა და არარუსთა ურთიერთობებს სწავლობდნენ და ერების დამოუკიდებლობის საბოლოოდ მიღწევის საკითხის გადაწყვეტაში უმნიშვნელოვანესი როლი მათ პოზიციას უნდა შეესრულებინა. მათი

მხრიდან დაჩაგრულ ერთა სასარგებლოდ გადაწყვეტილების მიღება, როგორც გრ. ურატაძე ამბობდა, ამ ერების მესვეურთა შორსმჭვრეტელობაზე და შესატყვის ტაქტიკურ ქმედებებზე იქნებოდა დამოკიდებული. „როცა ასეთ პირობებში, ამ მსოფლიო ასპარეზზე, ამ ჩაგრულ ერთა მეთაურათ გამოდიან ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელნი განა ეროვნული თავმოყვარეობის დაკმაყოფილება ამაზე მეტად კიდევ შეიძლება!“. ისიც ანგარიშგასანევია, რომ ვისბადენით საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებაც იყო დაინტერესებული, რადგან მის ინტერესებში არარუსი და რუსი ემიგრანტების შეთანხმება და მომავალში ერთობლივად მოქმედება არ შედიოდა. „ამიტომაც, რომ ის მთელი თავისი ბნელი ძალებით – ამბობდა გრ. ურატაძე – შემოჭრილია სხვადასხვა არხებით ემიგრანტულ წრეებში და სხვადასხვა ლოზუნგებით ცდილობს მის ჩაშლას“ [5, 24].

საბჭოთა რუსეთის ხელისუფალთ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, თუ რა დიდი საერთაშორისო რეზონანსი ექნებოდა ვისბადენში მიღწეულ შეთანხმებას, მითუმეტეს, ამ შეთანხმებით აშშ-ი იყო დაინტერესებული. მეორე მხრივ, თუკი შეთანხმება მოხდებოდა, ეს ფაქტი აშშ-ის მხრიდან პოლიტიკურ აღმასვლად იქნებოდა შეფასებული და იდეოლოგიურ ფრონტზე მისი წრმატებულად გამოყენება განხორციელდებოდა. ამ შემთხვევაში, გადამწყვეტი როლი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის პოზიციას ენიჭებოდა. ამის შესახებ დანვრილებითაა საუბარი გაზეთ „HPC“ ივლისის ნომერში დაბეჭდილ ბ. დალინის წერილში „ნაციონალური აღრევა“. მასში განსაკუთრებული ყურადღება, საქართველოს უფლებრივ მდგომარეობაზე და რუსული ორგანიზაციების მიერ ამ უფლებების აღიარებაზეა გადატანილი. წერილის ავტორის მტკიცებით: ა) გერმანიაში გამართულ თათბირზე, ნაციონალური საკითხი დაუძლეველ დაბრკოლებად იქცა; ბ) არარუსი ერების სეპარატული ტენდენციებიდან გამომდინარე, რუსი და არარუსი ერების წარმომადგენელთა გაძლიერებული დაპირისპირების გამო, ამერიკული კომიტეტის ზენოლით, რუსული ემიგრაციის ხელმძღვანელობა დათმობაზე წავიდა. ამ ფაქტთან დაკავშირებით, იმავე სტატიაში ბ. დალინი წერდა: „ქართული კოლონია პარიზში, რომელსაც ინტელექტუალურის მხრით უჭირავს თვალსაჩინო ადგილი ემიგრაციაში, ... ქართული მთავრობის ყოფილი წევრების... ურყევი პრინციპი... იყო საქართველოს სუვერენობის აღდგენა; დამოუკიდებლად იმისა, ექნებოდა მას საქმე სტალინის თუ თავისუფალ რუსეთთან... მათ წარმოდგენაში დიქტატურის დაცემა მოსკოვში, თუ სამხედრო დამარცხება საბჭოთა კავშირისა, გულისხმობს საქართველოს გამოყოფას ავტომატურად. სანამ არ იქნება მიღებული სხვა ჯგუფების მიერ ეს პროგრამა, ამათ უკრაინ-

ნის სეპარატისტებივით განაცხადეს უარი ერთი მაგიდის გარშემო დასხდომაზე. მაშინ ვილაცამ, უეჭველად... წინადადება მისცა რუსეთის ჯგუფის მეთაურებს საიდუმლო პოლიტიკური მანევრი გაეკეთებინათ. გამოეცხადოს ქართველებს (პარიჟელებს) რომ ქართველებისთვის იქნება გაკეთებული გამონაკლისი და არავითარი კენჭისყრა საჭირო არ იქნება; საქართველო იქნება ჩამოშორებული რუსეთიდან, როგორც კი გახდება ეს შესაძლებელი ფიზიკურად და პოლიტიკურად. მაგრამ ეს არ უნდა გამოქვეყნებულიყო. რუსეთის ხუთი ჯგუფის მეთაურებმა ასეთი რწმუნება მისცეს ქართველებს ვისბადენის კონფერენციაზე და მით მიაღწიეს მათ მონაწილეობას თათბირში... მიხედვს რა ქართველებს, მაგიდას შემოუსხდა კიდევ ხუთი ნაციონალური ორგანიზაცია. ამ ვალდებულების აღება არ იყო გამოტანილი საჯაროდ, რომ არ აჯანყებულიყვნენ უბრალო წევრები რუსული ჯგუფებისა თავისი მეთაურების წინააღმდეგ“. ამ ვრცელ ამონაწერში კარგადაა წარმოდგენილი ის განმაპირობებელი ფაქტორი, რამაც ქართული მხარის ვისბადენის კონფერენციაში ბოლომდე მონაწილეობა განაპირობა. მეორე მხრივ, ამერიკული კომიტეტის მხრიდან რუსებზე ზემოქმედება გარკვეული ფორმითაა მინიშნებული. იმავე წერილში ქართული ემიგრაციული მთავრობის ყოფილი წევრების განსაკუთრებულ ავტორიტეტზეცაა ყურადღება გადატანილი და გასაგებათაა ნათქვამი, რომ ქართული მხარის ვისბადენში არნასვლა, რა დარტყმას მიაყენებდა ემიგრაციის ბაზაზე ერთიანი ანტისაბჭოური ცენტრის შექმნის ჩანაფიქრის ამერიკული კომიტეტის ინიციატივას. ეს საშიშროება ამერიკული კომიტეტის ხელმძღვანელობას კარგად ჰქონდა გაცნობიერებული. მხედველობაში მაქვს მათი მხრიდან ქართულ ემიგრაციასთან მიმართებაში განსაკუთრებული მოკრძალების და პატივისცემის გამოვლინება, რომელიც ქართველთა ეროვნული ინტერესების ანგარიშის განვევაში გამოიხატებოდა.

ვისბადენის თათბირის მნიშვნელობასთან მიმართებაში, ყურნ. „მებრძოლი საქართველო“ სტატიაში – „ვისბადენი“ წერდა, რომ ვისბადენის თათბირზე მიღებული გადაწყვეტილებები, 30 წლიანი ემიგრაციული დაქსაქსულობის შემდეგ დიდ ფსიქოლოგიურ გარდატეხას წარმოადგენდა, „როგორც რუსული, ისე ეროვნული ემიგრაციისთვის. მან გამოააშკარავა ერთად ბრძოლის შესაძლებლობა, რომელიც ყველაზე მძიმედ იგრძნო ...საბჭოთა პრესამ... ასეთივე შთაბეჭდილება მოახდინა ამ თათბირმა ამერიკულ საზოგადოებაზეც, ... რომელთაც რუსის და სხვა დაჩაგრულ ერთა შეერთებული გამოსვლის შესაძლებლობა უტოპიად ეჩვენებოდათ“ [5, 9]. ეს წინასწარი პროგნოზირება, რუსი და არარუსი ემიგრაციის წარმომადგენ-

ლებში საერთო ენის გამოძებნისა და კონსესუსზე დაფუძნებული ერთობლივად მოქმედების დადგენილების მიღებით დაირღვა. ამ ფაქტმა, ამერიკული კომიტეტის წარმომადგენელთა შორის მაღალი შეფასება დაიმსახურა. ამის უდაო დადასტურებას, ბ. ე. ლაიონსის მიერ ამერიკული კომიტეტის სახელით ვისბადენის კონფერენციის მონაწილეებისადმი გაგზავნილი დეპეშა წარმოადგენს. მასში გარკვევითაა მითითებული – რუსი და არარუსი ერების თანსწორობის პრინციპით გაერთიანებაზე. არარუსი ერების საბჭოური უღლისგან განთავისუფლებაზე და თანასწორუფლებიან ერთა ოჯახში თავისუფლად შესვლაზე. „დემოკრატიული ელემენტები – ვკითხულობთ დოკუმენტში – რუსის და არარუსის ემიგრაციის, რომელთაც აქვთ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებანი, უნდა გაერთიანდნენ აბსოლუტური თანასწორობისა და ურთიერთის პატივისცემის საფუძველზე. კრემლის დესპოტიის წინააღმდეგ საერთო მოქმედებისათვის... ეს გაერთიანება განთავისუფლების იმედებს გაულვიძებს ბოლშევიკური ტირანიის ყველა მსხვერპლთ, ხოლო მათ განთავისუფლებას მოჰყვება უფლება და შესაძლებლობა თავის პოლიტიკური და სოციალური ცხოვრების მოწყობისა, თანახმად თავისუფლად გამოხატული ნებისყოფისა... კომიტეტს განსაკუთრებული სურვილი აქვს დაგარნმუნოთ, რომ ის სავსებით დაუჭერს მხარს თქვენს საერთო ძალით მოქმედებას. დარწმუნებული ვართ, მთელი კაცობრიობის თავისუფლება მანამდე იქნება საშიშროების ქვეშ, სანამ დაჩაგრული იქნებიან თქვენი სამშობლოს ერები. ისინი უნდა განთავისუფლებული იქნან და შევიდნენ დიდ ოჯახში თავისუფალ და თანსწორუფლებიან ერებისა. ამ მაღალი მიზნის მიღწევას ჩვენ ყველამ, რუსმა, არარუსმა და ამერიკელებმა უნდა ვემსახუროთ მთელი გულით და მთელი ჩვენი ენერგიით“ [2, 7-8]. ეს ვრცელი ამონაწერი, გარკვევით მიუთითებს ამერიკული კომიტეტის დამოკიდებულებას მონობაში მყოფი ერებისადმი. იგივე დოკუმენტი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ერების დამოუკიდებლობას და ამ სტატუტით მოიაზრებდა თავისუფალ და თანასწორუფლებიან ერთა დიდ ოჯახში მათ შესვლას. ამ შემთხვევაში საქართველოც იყო ნაგულისხმევი. აღნიშნული და სხვა გარემოებები ჰქონდა მხედველობაში გრ. ურატაძეს, როცა ქართული ეროვნული საბჭოს მეორე სესიის მეორე სხდომაზე წარმოთქმულ სიტყვაში, ვისბადენის თათბირის გადაწყვეტილებები დადებითად რომ შეაფასა. იმავდროულად, არარუსი ერების ერთიანი პროგრამით გამოსვლის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და ამ მიმართულებით წარმატებული ნაბიჯის გადადგმა, რუსული ორგანი-

ზაციების შემოტევებისგან თავდაცვა-მოგერიების საუკეთესო საშუალებად გამოაცხადა. ამ ფონზე, მან ქართული ემიგრაციის პირველხარისხოვან ამოცანად მიიჩნია: 1) ამერიკულ კომიტეტთან კავშირის განმტკიცების აუცილებლობა; 2) რუსულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა, ანტიბოლშევიკური ბრძოლის გაძლიერების საშუალებად ელიარებიანათ. იმავდროულად, დაცული ყოფილიყო საბჭოს პირველი ყრილობის დადგენილებების წინასწარი პირობები. ვისბადენის კონფერენციაზე ნ. ცინცადის ქმედება, გრ. ურატაძემ შემდეგნაირად შეაფასა: „დასასრულს მოვალედ ვთვლი ჩემს თავს განაცხადო იმ ხმების წინააღმდეგ, რომლებსაც ჩვენი მონინააღმდეგეები ავრცელებენ,... ჩვენი დელეგატის ბ-ნ ნ. ცინცადის ქცევა, მოქმედება იყო ისეთი, როგორიც ეს შეჭფერის ქართველ მამულიშვილს, რისთვისაც მე მას გულწრფელად მადლობას ვუცხადებ“ [5, 15].

ვისბადენის საკითხს იმავე სხდომაზე ს. მენალარიშვილი შეეხო. მისი მტკიცებით, ვისბადენის ხაზი იყო ქართული ემიგრაციის და ქართული „საქმის გამოფხიზლების დასაწყისი. ქართული საკითხი ამოღებული იქნა ომის წინა არქივებიდან. დავა საქართველოსა და რუსეთს შორის გადავიდა საერთაშორისო ასპარეზზე“. და რაც მთავარია, ამ დავაში ქართული ემიგრაციის მხარდამჭერად ამერიკული კომიტეტი გამოვიდა, რომლის მიზანს, საბჭოთა რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა და ამ საქმეში ოკუპირებული ერების ერთობლივი ძალებით ჩაბმა წარმოადგენდა.

ამრიგად: 1) ქართული ემიგრაციის უზუცესი ლიდერების გადწყვეტილება – საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პროგრესულად მოაზროვნე რუსული ემიგრაციის მხარდამჭერით საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ებრძოლათ, 30 წლიან პოლიტიკურ გამოცდილებას ეფუძნებოდა. მათ კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული, რომ ქვეყნის დამოუკიდებლობის მიღწევა, რუსეთისადმი დაპირისპირებული სახელმწიფოების ინტერესთა გათვალისწინებით იყო შესაძლებელი; 2) ქართული ემიგრაციის ლიდერების მხრიდან ახლადმქმნილ „ამერიკულ კომიტეტთან“ თანამშრომლობა და იმავე კომიტეტის მიწვევით ვისბადენის კონფერენციაში მონაწილეობა, სწორ პოლიტიკურ ნაბიჯს წარმოადგენდა. ვისბადენის კონფერენციაზე წარმოდგენილი 5 რუსული ორგანიზაციის მიერ, ეროვნულ საკითხში შტუდგარტის დადგენილებებზე (1951 წლის 19 აგვისტო) უარის თქმა, 1918- 1921 წლებში სახელმწიფოებრიობის მქონე ერებისადმი დამოუკიდებლობის მიცემაზე თანხმობა, ემიგრაციის ანტისაბჭოური პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის საფეხურის მომზადებას ითვალისწინებდა; 3) ვისბადენის კონფერენციამ, ეროვნულ საკითხში რუსი და არარუსი პოლიტიკური მოღვაწე-

ბის დაპირისპირება გამოკვეთა. მეორე მხრივ, მსოფლიო საზოგადოებას არარუსი ერების მისწრაფების გზა უჩვენა. ამერიკული კომიტეტის თანადგომით, ვისბადენის კონფერენციაზე მიღებული გადაწყვეტილებები და საქართველოსთვის უპირობოდ დამოუკიდებლობის მიცემაზე დათანხმება, იდეოლოგიურ ფრონტზე ქართული ემიგრაციის პოლიტიკურ გამარჯვებას წარმოადგენდა.

დამონმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, 1952, №1.
2. ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, 1952, №2.
3. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 398.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფ. 1861, აღწ. 3, საქ. 703.
5. ჟურნ. „მებრძოლი საქართველო“, 1952, №7.

Shota Vadachkoria

Doctor of Historical Sciences, Ivane Javakhi-shvili Tbilisi State University, Ivane Javakhi-shvili Institute of History and Ethnology, Chief scientist of the Department of Modern and Contemporary History

Independence of Georgia and Wiesbaden Conference (October, 16, 1951)

Summary

On the basis of the documentary materials it is substantiated that: 1) the decision of the elder leaders of the Georgian emigration to fight against the Soviet Russia with the support of the international organizations and progressive Russian emigration had been based on the 30 years old political experience. They were well aware that to have independence was possible after taking into consideration the interests of the foreign countries who were in the opposition with Russia. 2) Cooperation of the leaders of emigration with the newly established „American Committee“ and participation in Wiesbaden conference by the invitation of the same

committee politically was correct. At Wiesbaden conference five Russian organizations said no to Stuttgart decree (August, 19, 1951) and agreed to give independence to those countries that had statehood in 1918-1921. It was a step forward of the emigration in uniting anti-Soviet political forces.

3) At Wiesbaden conference the national issue revealed an opposition between Russian and non-Russian political figures. On the other hand international community saw non-Russian peoples' strive. With the support of the American Committee, decisions of the Wiesbaden conference and unconditionally giving independence to Georgia was a political victory on the ideological front of the Georgia emigration.